

# რამდენი ადამიანი შეიძლება სოფრობდეს და საქმიანობდეს სოფლად?

**ვუკლავნით ქართული სოფლის დიდ მოაზარებს, ბრკენსა და ძველ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უნეიდესსა და უნეიტარესს ილია მეორეს**



საქართველოს საჯარო სივრცეში ბოლო წლებში გახშირდა კამათი, როგორც ეკონომიკური განვითარების პროცესში სოფლის მეურნეობის როლის, ასევე სოფლად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობრივი პარამეტრების შესახებ. ფაქტია, რომ 2004-2012 წლების ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად დაკნინდა ეროვნულ ეკონომიკაში აგრარული სექტორის როლი, რამაც სოფლად მცხოვრები შრომისუნარიანი მოსახლეობის მკვეთრი შემცირება განაპირობა. ნაშრომში სწორედ ეს მნიშვნელოვანი საკითხია განხილული.

საქართველოს სტრატეგიული განვითარების კონტექსტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი პრობლემის გადაწყვეტას, როგორცაა ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახლეობის მაქსიმალურად ეფექტიანი გაადგილება. ცხადია ეს ურთულესი საკითხია, რომელზეც უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას და ყველაფრის მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით გადაწყვეტა შეუძლებელია, თუმცა აუცილებელია დადგენილ იქნეს რამდენიმე ძირითადი პარამეტრის დასაშვები მერყეობის ამპლიტუდა, რაც წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს სახელმწიფოს და ერის სასიცოცხლო ინტერესებთან.

ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი საკითხია სასოფლო და ურბანული ტერიტორიების მოსახლეობის რაოდენობის და მათი თანაფარდობის პარამეტრების დადგენა. ეს განსაკუთრებით აქტუალურად გვეჩვენება დღეს, თუ ამ მიმართულებით გამოთქმულ და დაწერილ არაკომპეტენტურ, ზერელე, წინასწარ აკვიატებულ და შესაბამისად, არამართლზომიერ მოსაზრებებს გავითვალისწინებთ.

საქართველოში არც თუ იშვიათად ისმის მოსაზრებები სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ. ზოგიერთები, იშველიებენ რა საკუთარ „კომპეტენტურობას“ და „ინფორმირებულობას“ ამ საკითხში, ამტკიცებენ, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს სოფლად, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობას უმნიშვნელო რაოდენობის ადამიანური რესურსი ესაჭიროება და ა.შ. ამგვარი შეხედულებების სასარგებლოდ ე.წ. „ექსპერტებს“ რამდენიმე არგუმენტი მოაქვთ: როგორც წესი, ეს არის ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში სოფლის მცხოვრებთა პროცენტული წილი, სოფლად დასაქმებულთა ხვედრითი წილი

და მშპ-ში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი. ამ მონაცემებით მანიპულირების შედეგად ისინი ცდილობენ გაამყარონ საკუთარი არამართლზომიერი დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი. რეალურად საქმე სრულიად სხვაგვარად არის და ამის დამტკიცებას ქვემოთ, განვითარებული ქვეყნების მონაცემებზე დაყრდნობით შევეცდებით, მრავალმხრივი ობიექტური ანალიზის საფუძველზე. კერძოდ, ის ვინც ამტკიცებს, რომ საქართველოს სოფლებში ჭარბი მოსახლეობაა, უმთავრეს არგუმენტად სოფლის მოსახლეობის მაღალ ხვედრით წილს ასახელებს. მართლაც ეს მაჩვენებელი ჩვენი ქვეყნისთვის 47%-ია, ხოლო განვითარებულ სახელმწიფოებში არსებითად ნაკლები. თუმცა, თუ აღნიშნულ მონაცემს სხვა მაჩვენებლებთან კონტექსტში განვიხილავთ, მაშინ სრულიად განსხვავებულ სურათს მივიღებთ. მაგალითად, გერმანიასა და ნიდერლანდებში (ამ ქვეყნების მაგალითი ყველაზე ხშირად მოაქვთ არგუმენტად) სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი შესაბამისად 26,5% და 17% შეადგენს, თუმცა აბსოლუტურ მაჩვენებლებში ეს მონაცემებია 21,5 და 2,8 მილიონია. თუ ამ მონაცემებს ქვეყნის ფართობსა და მთლიანი მოსახლეობის მაჩვენებლებთან კორელაციაში განვიხილავთ, საინტერესო დასკვნამდე მივალთ: გერმანიის ტერიტორია საქართველოზე 5,1-ჯერ, ხოლო მოსახლეობა 18,7-ჯერ მეტია, ნიდერლანდები კი, მართალია ტერიტორიით საქართველოზე პატარაა 1,7-ჯერ, თუმცა 3,9-ჯერ უფრო მრავალრიცხოვანია. მსგავსი მსჯელობა იმ დასკვნისთვის გვჭირდება, რომ საქართველო გერმანიის შესაბამისი მოსახლეობის სიმჭიდროვის ქვეყანა რომ იყოს, მაშინ ჩვენს ტერიტორიაზე უნდა ცხოვრობდეს დაახლოებით 16 მილიონი ადამიანი, ხოლო სოფლად, იგივე გერმანული პროპორციის გამოყენების შემთხვევაში კი, აღნიშნული რაოდენობის 26,5%, ანუ დაახლოებით 4,2 მილიონი

ქვეყანა	მოსახლეობა სულ (ათასი ადამიანი)	სრომსუნარიანი მოსახლეობა (ათასი ადამიანი)	სოფლის მოსახლეობა (ათასი ადამიანი)	მოსახლეობა, რომელიც თავს სოფლის მეურნეობით ირჩენს (ათასი ადამიანი)	სოფლის მეურნეობაში დასაქმებული (ათასი ადამიანი)	სოფლის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში, %	სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია წილი შრომის- უნარიან მოსახლეობაში, %
აზერბაიჯანი	9494	6119	4417	2091	1085	46,5	17,7
ავსტრალია	22015	12050	2425	869	457	11,0	3,8
ავსტრია	8220	3668	2724	282	144	33,1	3,9
აშშ	313847	153600	54981	5148	2508	17,5	1,6
არგენტინა	42192	16760	3074	3110	1405	7,3	6,6
ბელარუსი	9542	5000	2428	853	434	25,4	8,7
ბელგია	10438	5177	277	134	59	2,7	1,1
ბრაზილია	205716	104700	26261	21074	11049	12,8	10,6
ბულგარეთი	7038	2465	2139	299	124	30,4	5,0
გაერთიანებული სამეფო	63047	31730	12778	918	475	20,3	1,5
გერმანია	81305	43620	21523	1295	662	26,5	1,5
დანია	5543	2853	729	141	75	13,2	2,6
ესპანეთი	47042	23100	10415	2038	1016	22,1	4,4
ესტონეთი	1275	704	409	119	71	32,1	10,1
თურქეთი	79749	27430	22081	14472	8068	27,7	29,4
იაპონია	127368	65930	41968	2685	1418	33,0	2,2
ინდოეთი	1205073	487600	857109	592277	269740	71,1	55,3
ირლანდია	4722	2126	1701	294	149	36,0	7,0
ისრაელი	7591	3204	604	127	51	8,0	1,6
იტალია	61261	25080	19158	1968	845	31,3	3,4
ლატვია	2191	1169	727	208	113	33,2	9,7
ლიტვა	3526	1624	1097	323	126	31,1	7,8
ნიდერლანდები	16730	7809	2847	408	213	17,0	2,7
პოლონეთი	38415	17850	14944	5658	2960	38,9	16,6
პორტუგალია	10781	5543	4195	1095	515	38,9	9,3
რუმინეთი	21848	9252	9139	1802	869	41,8	9,4
საბერძნეთი	10767	4959	4383	1085	637	40,7	12,8
საფრანგეთი	65630	29610	9261	1271	573	14,1	1,9
სომხეთი	2970	1194	1107	290	148	37,3	12,4
უკრაინა	44854	22090	14186	5212	2412	31,6	10,9
უნგრეთი	9958	4274	3185	840	322	32,0	7,5
შვეიცარია	7656	4898	2022	383	137	26,4	2,8
ჩინეთი	1343239	795500	723826	834491	500977	53,9	63,0
ჩეხეთი	10177	5410	2776	650	327	27,3	6,0
საქართველო	4340	2390	2038	-	330	47,0	13,8

ადამიანი. იგივე გაანგარიშებებს თუ ნიდერლანდების მონაცემებზე დაყრდნობით შევასრულებთ, მივიღებთ, რომ საქართველოში ნიდერლანდური მოსახლეობის სიმჭიდროვის მილნევის შემთხვევაში იცხოვრებს დაახლოებით 28,1 მილიონი ადამიანი, ხოლო სოფლად კი 4,8 მილიონი.

ცხადია, მსგავსი მსჯელობა არ ისახავს მიზნად ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის განთავსების პარამეტრების დადგენას, თუმცა, მათ სანინააღმდეგოდ ვინც ზემოხსენებული ქვეყნების მაჩვენებლებით მაინპულირებას ცდილობს, ვფიქრობთ რომ გამოდგება.

რაც შეეხება საქართველოს სოფლის მეურნეობაში საერთო ადამიანური და შრომითი რესურსების რეალური გამოყენების პირობებს, ამისთვის საჭიროა უფრო მიზანმიმართული კვლევის ჩატარება და თუ ის იქნება მრავალმხრივი ანუ პარამეტრები დადგინდება კვლევის სხვადასხვა მეთოდით, მაშინ მიღებული მონაცემების თანაკვეთა მოგვცემს რეალობასთან მეტ-ნაკლებად მიახლოებულ სურათს.

პირველყოვლისა, ჩვენ იმ ქვეყნების მაჩვენებლებს ანალიზსა და განზოგადებას შევეცდებით, რომელთაც საქართველოს მსგავსი საბაზო პირობები გააჩნიათ, თუმცა ეკონომიკური განვითარების დონით მნიშვნელოვნად გვისწრებენ და შესაბამისად მიბაძვის ობიექტებადაც შეიძლება გამოდგნენ. ამისთვის კი რამდენიმე კრიტერიუმი უნდა ჩამოვაცალიოთ: პირველ რიგში უნდა შევარჩიოთ ის სახელმწიფოები, რომელთაც ჩვენი ქვეყნის მსგავსი ბუნებრივ-კლიმატური, რელიეფური პირობები და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა აქვთ (მაგალითად, ამ უკანასკნელი კრიტერიუმის უმთავრეს განმსაზღვრელად მივიჩნიეთ ქვეყანაში მევენახეობის — როგორც ერთ-ერთი წამყვანი დარგის არსებობა). ამავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ეს ქვეყნები ეკონომიკურადაც განვითარებულნი უნდა იყვნენ. განვითარების ზღვრად ჩვენს ანალიზში აღებული გვაქვს მშპ-ს მოცულობა (20 ათასი დოლარი) ერთ სულ მოსახლეზე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორც არის მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე, ქვეყნის ეკონომიკისა და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის განვითარების საბაზო პირობები და კვების ტრადიციები. ამ კრიტერიუმების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე სახელმწიფო, რომელთაც საქართველოსთან ზემოთ ჩამოთვლილი პარამეტრების მიხედვით შედარებითი მსგავსებით გამოირჩევიან და ჩვენს მიერ დადგენილ ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელსაც აკმაყოფილებენ. ეს სახელმწიფოებია: შვეიცარია, იტალია, უნგრეთი, პორტუგალია, საბერძნეთი. ჩვენ არ განვიხილეთ საფრანგეთის და ესპანეთის მაგალითები, რადგან ამ ქვეყნების ტერიტორიის სიდიდე დიდ გავლენას ახდენს ეროვნული მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაზე, კერძოდ კი მარცვლეული კულტურების სასარგებლოდ, რაც აღნიშნულ ქვეყ-

ნებს მსხვილი ინდუსტრიული ფერმების შექმნის შესაძლებლობას აძლევს.

ანალიზს შვეიცარიით დავიწყებთ, რადგან გარდა იმისა, რომ ეს ქვეყანა ყველაზე კარგად შეესაბამება ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს, ამავე დროს, საუკეთესო ორიენტირიც არის სამომავლო განვითარების მხრივ.

შვეიცარიის და საქართველოს ფართობის ფარდობითი კოეფიციენტი შეადგენს 0,59-ს, ხოლო მოსახლეობის ანალოგიური კოეფიციენტი 1,76. ანუ საქართველოში მოსახლეობის სიმჭიდროვე ამ ევროპული ქვეყნის შესაბამისი რომ იყოს, იცხოვრებდა დაახლოებით 13 მილიონი ადამიანი, ხოლო ვინაიდან შვეიცარიის სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში 26,4%-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლის პროეცირებას თუ საქართველოზე მოვახდენთ მივიღებთ 3,4 მილიონ სოფლად მოსახლეს. საბერძნეთის მაგალითზე იგივე გაანგარიშებების შემთხვევაში — 5,7 და 2,3 მილიონ მცხოვრებს, უნგრეთის მაგალითზე ეს მაჩვენებლებია 7,6 და 2,5 მილიონი, იტალიის მაგალითზე — 14,3 და 4,5 მილიონი, ხოლო პორტუგალიის მაგალითზე კი — 8,3 და 3,2 მილიონი.

ამდენად, როგორც ჩვენს მიერ შესრულებული გაანგარიშებები ცხადყოფენ, საქართველოს სოფლის მოსახლეობა შეიძლება იყოს 2,3 მილიონიდან 4,5 მილიონამდე. დღეს რეალურად სოფლად ცხოვრობს დაახლოებით 2 მილიონი, ანუ, ჩვენი ქვეყნის სოფლებში არათუ ჭარბმოსახლეობაა, არამედ ადამიანური რესურსების სიმცირესთანაც კი გვაქვს საქმე (განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში).

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ამჟამად დასაქმებულია დაახლოებით 330 ათასი ადამიანი (FAO-ს მონაცემი). ქვემოთ გვექნება მსჯელობა თუ რამდენად არის ეს ციფრი ოპტიმალურთან ახლოს.

ზოგადად, როდესაც საუბარია სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივაზე, უპირველესად უნდა განისაზღვროს, თუ რა არის ამ მხრივ უმთავრესი მიზანი. ჩვენი ქვეყნის პირობების გათვალისწინებით (მხედველობაში გვაქვს მცირემიწიანობა, მძიმე დემოგრაფიული და ეკონომიკური ვითარება, განსაკუთრებით ქართული რეალობა, რომლის მიხედვითაც სოფელი ტრადიციების და ეთნო-კულტურული იდენტობის უმთავრესი კერაა) უპირველესი ამოცანაა მიწის ეფექტიანი გამოყენება, ანუ მაქსიმალური შრომაუკულებების მიღება. ამასთან ეს ისე უნდა განხორციელდეს, რომ ადგილობრივმა სოფლის მეურნეობის პროდუქციამ არ დაკარგოს კონკურენტუნარიანობა უცხოურ პროდუქციასთან მიმართებაში. შესაძლებელია თუ არა აღნიშნულის მიღწევა, ამის შესახებ, ჩვენი აზრით, ობიექტური დასკვნის გაკეთება ისევე განვითარებული ქვეყნების მაგალითის შესწავლით შეიძლება. კერძოდ, საქართველოში სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე მოდის 7,48 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. შვეიცარიაში ეს მაჩვენებელია 11,45 ჰა,

ქვეყანა	თერიტორია (ათასი კმ <sup>2</sup> )	სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (ათასი ჰა)	მოსახლეობის სიმჭიდროვე (ადამიანი 1 კმ <sup>2</sup> -ზე)	სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი ქვეყნის 1 მოსახლეზე (ჰა)	სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი სოფლის მეურნეობაში 1 დასახლებულზე (ჰა)	სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი სოფლის მეურნეობებზე 1 მაცხოვრებელზე (ჰა)
აზერბაიჯანი	86,6	4936	109,6	0,52	4,55	1,12
ავსტრალია	7741	410273	2,8	18,64	897,75	169,18
ავსტრია	83,9	3188	98	0,39	22,14	1,17
აშშ	9826	432344	32	1,38	172,39	7,86
არგენტინა	2780	141800	15,2	3,36	100,93	46,13
ბელარუსი	207,6	9134	46	0,96	21,05	3,76
ბელგია	30,5	1372	342	0,13	23,25	4,95
ბრაზილია	8515	263965	24,2	1,28	23,89	10,05
ბულგარეთი	110,9	5101	63,5	0,72	41,14	2,38
გაერთიანებული სამეფო	243,6	17295	259	0,27	36,41	1,35
გერმანია	357	17136	227,7	0,21	25,89	0,79
დანია	43,1	2672	128,6	0,48	35,63	3,67
ესპანეთი	505,4	27797	93	0,59	27,36	2,67
ესტონეთი	45,2	949	28,2	0,74	13,37	2,32
თურქეთი	783,6	39180	102	0,49	4,86	1,77
იაპონია	378	4536	337	0,06	3,20	0,11
ინდოეთი	3287	197220	367	0,16	0,73	0,23
ირლანდია	70,3	4218	67,2	0,89	28,31	2,48
ისრაელი	20,8	500	365	0,07	9,80	0,83
იტალია	301	14147	203	0,23	16,74	0,74
ლატვია	64,6	1873	34	0,85	16,58	2,58
ლიტვა	65,3	2742	54	0,78	21,76	2,50
ნიდერლანდები	41,5	2324	403	0,14	10,91	0,82
პოლონეთი	312,7	16260	123	0,42	5,49	1,09
პორტუგალია	92,1	3684	117	0,34	7,15	0,88
რუმინეთი	238,4	13827	91,6	0,63	15,91	1,51
საბერძნეთი	131,9	8253	81,6	0,77	12,96	1,88
საფრანგეთი	551,5	29229	119	0,45	51,01	3,16
სომხეთი	29,7	1812	100	0,61	12,24	1,64
უკრაინა	603,6	42855	74	0,96	17,77	3,02
უნგრეთი	93	5859	107	0,59	18,20	1,84
შვეიცარია	41,3	1569	185,4	0,20	11,45	0,78
ჩინეთი	9597	537432	140	0,40	1,07	0,74
ჩეხეთი	78,9	4260	129	0,42	13,03	1,53
საქართველო	69,7	2469	62,3	0,59	7,48	1,21



თუ ამ მონაცემს ოპტიმალურად მივიჩნევთ მაშინ საქართველოს სოფლის მეურნეობაში უნდა საქმიანობდეს დაახლოებით 215 ათასი ადამიანი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობად აღებული გვაქვს დაახლოებით 2,5 მილიონი ჰა, თუმცა ამ მონაცემის გაზრდა მინიმუმ 20%-ით არის შესაძლებელი. სავარგულებში დღეს არსებული სხვადასხვა პრობლემის დარეგულირების შემდეგ, ცხადია, შესაბამისად გაიზრდება დასაქმებულთა პოტენციური რაოდენობაც. იტალიაში სოფლის მეურნეობაში ერთ დასაქმებულზე მოდის 16,74 ჰა. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობის გაყოფით ამ მაჩვენებელზე მივიღებთ დაახლოებით 148 ათას დასაქმებულს, უნგრეთის ანალოგიური მონაცემის შემთხვევაში გვექნება 136 ათასი, საბერძნეთის მაგალითზე მივიღებთ 191 ათასს, ხოლო პორტუგალიის მაგალითზე კი 345 ათასს. ამ ხუთი ქვეყნის მიხედვით ერთ დასაქმებულზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საშუალო მაჩვენებლის განხილვის შემთხვევაში (რაც 13,3 ჰა-ს შეადგენს) მივიღებთ დაახლოებით 186 ათას დასაქმებულს, ხოლო ზემოთ მოტანილი მაჩვენებლების პირდაპირ საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით — 207 ათასს.

ზემოთ მოტანილი მაჩვენებლების და საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მართებული აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, შესაძლებელია ერთ დასაქმებულზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ოპტიმალურ რაოდენობად მივიჩნიოთ 10 ჰა. ასეთ პირობებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმდება მინიმუმ 250 ათასი ადამიანი, რომელთა შრომის მწარმოებლურობა და შესაბამისად შემოსავლები აღნიშნული მუშახელისა და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-კულტურული განვითარების

მაღალ დონეს განაპირობებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშახელის ეფექტიანობის ზრდის უმნიშვნელოვანესი რეზერვია სასოფლო-სამეურნეო სანარმოთა საქონლიანობის დონის ამაღლება. ეს მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მეტად დაბალია და სოფლად მცხოვრებთა შინამეურნეობებისათვის შეადგენს მხოლოდ 37%-ს. აღნიშნული მონაცემი მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მარტო განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს, არამედ 1980-იანი წლების ბოლოს სოფლად მცხოვრებთა შინამეურნეობებში წარმოებული პროდუქციის საქონლიანობის დონესაც (45%).

გარდა წარმოდგენილი მეთოდისა, არსებობს სხვა მრავალი მეთოდიც, რომლითაც შესაძლებელია ანალოგიური პარამეტრების გაანგარიშება. მათგან, ჩვენი აზრით, ყველაზე მიზანშეწონილია სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების ნორმატიული სიდიდე განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო კულტურების და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური რუკებით გათვალისწინებული მოთხოვნების საფუძველზე. ამ მეთოდით სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უშუალოდ დასაქმებულთა ნორმატიული სიდიდე (ოპტიმალური რიცხოვნობა), ჩვენი გაანგარიშებით 345-355 ათას კაცს შეადგენს, რაც პრაქტიკულად შეესაბამება FAO-ს მონაცემს, რომელიც ზემოთ ფიგურირებდა ჩვენ გაანგარიშებებში. თუმცა, მომავალში ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და ქართული სოფლის სპეციფიკური თავისებურების გათვალისწინებით, შესაძლოა მათი რაოდენობა ოპტიმისტური სცენარით 300-330 ათას კაცამდე შემცირდეს ანუ სოფლად დღეს მცხოვრები მოსახლეობის 15-20 პროცენტის ფარგლებში დარჩეს (მხედველობაში გვაქვს მექანიზაციის დონის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალი ტე-

ქნოლოგიების დანერგვა და სხვა პროგნოზირებადი პროგრესული მიმართულებები). ამ მაჩვენებელთან ერთად თუ გავითვალისწინებთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მაქსიმალურ ფართობს, რომლის პოტენციალიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია, ერთ დასაქმებულზე მივიღებთ 10-12 ჰა-ს, რაც დაახლოებით შეესაბამება ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ამრიგად, არასწორად მიგვაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ აგრარულ სექტორში დასაქმებული უნდა იყოს მოსახლეობის მხოლოდ 2-3 პროცენტი. ჩვენი აზრით, სოფლად უნდა იცხოვროს იმდენმა ადამიანმა, რამდენის საშუალებასაც ამა თუ იმ ქვეყნის ბიოგეოკლიმატური პოტენციალი, სოფლის მეურნეობისა და ზოგადად ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა იძლევა და რომლის პირობებში ადგილობრივი აგრო-რესურსების ყველაზე ეფექტიანი გამოყენება მიიღწევა. საქართველოსთვის ეს მაჩვენებელი მინიმუმ 2,3 მილიონი ადამიანია, თუმცა წინასწარ გამიზნული ეკონომიკური (მ.შ. აგრარული) პოლიტიკის შემთხვევაში, მაშინ როდესაც საქართველოს მზარდი დემოგრაფიული მაჩვენებლები ამის შესაძლებლობას მოგვცემს, ჩვენი ქვეყნის არაურბანული დასახლებების ტევადობის პოტენციალი 4,5 მილიონი მოსახლეს შეიძლება იყოს. სწორედ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ყველა არსებული რეზერვის ამოქმედებაზე და სოფლად მცხოვრებთა სრულფასოვან სოციო-კულტურულ ყოფაზე.

ბუნებრივია, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის საზოგადოების ეკონომიკური დედა-ბოძი ყოველთვის ქართველი გლეხი იქნება, მისთვის სრულფასოვანი ცხოვრებისეული არეალის შექმნა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის ფორმირებას გულისხმობს და აქვე თუ გავითვალისწინებთ სოფლის მეურნეობის მო-

მიჯნავე დარგებში დასაქმებულებს და საქართველოს აგრო-ტურიზმის მნიშვნელოვან პოტენციალს, ცხადი გახდება, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი არაურბანულ მოსახლეობაში (უკიდურეს შემთხვევაში), არ გადააჭარბებს ევროპული ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებს.

ცნობილია, რომ განვითარებულ ქვეყნებში ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც საქმიანობენ სოფლად (მასწავლებლები, ექიმები, მექანიზატორები, მელიორატორები, კულტურის მუშაკები, მძღოლები, ხანდაზმული ადამიანები და სხვ.), როგორცნისი, ბევრად (3-4ჯერ) აღემატება მათ რაოდენობას, ვინც უშუალოდ დაკავებულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით (მათ ფერმერის სტატუსი გააჩნიათ) ანუ ხნავს, თესავს, ვენახსა და ხეხილს სხლავს, თიბავს, პირუტყვსა და ფრინველს ამრავლებსა და უვლის და ა.შ. ხოლო თუ ოჯახის შრომისუნარო ნევრებსაც მივიღებთ მხედველობაში, კვლავ მივალთ იმ მონაცემებამდე, რის შესახებაც ზემოთ ვიმსჯელებთ: საქართველოს სოფლის მოსახლეობა უნდა იყოს არანაკლებ 2,3 მილიონისა, ხოლო პოტენციალი — 4,5 მილიონი ადამიანია.

ბუნებრივია, ამ მონაცემების რეალურობა დიდად იქნება დამოკიდებული ქვეყანაში განხორციელებულ ეკონომიკურ (მ.შ. აგრარულ და სოფლის განვითარების) პოლიტიკაზე, მინის კონსოლიდაციაზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სტიმულირებაზე, სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და სხვა აუცილებელი პროექტების განხორციელებაზე.

**პაატა კოლუაშვილი,**  
სტუ პროფესორი  
**ბადრი რამიშვილი,**  
თსუ პროფესორი

## CAPACITY OF GEORGIAN VILLAGE

Paata Koguashvili, GTU Professor  
Badri Ramishvili, TSU Professor

### SUMMARY

In recent years the debate about the role of agriculture in economic development has increased in public sector, as well as about the quantitative parameters of the population living in rural areas. It is the fact that over the 2004-2012 years the government had been deliberately declining the role of agricultural sector in national economy, which has led to a sharp decline of the working age population living in rural areas.

In the presented work, the authors on the example of developed European countries ground the demographic parameters about the capacity of Georgian village, which in their opinion, fluctuate from 2.3 million to 4.5 million people. Besides, it is determined the optimal number of labor resources required for the agricultural sector, which the authors point of view is within the 300-330 thousand.